

ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის

2022 წლის ანგარიში

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ სრულად განხორციელდა 2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები.

კერძოდ, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 24.10.2022წ. №MES 1 22 0001348123 გადაწყვეტილებით, ექვსი წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი, ხოლო წლიურ კვოტად განისაზღვრა **705 პროფესიული სტუდენტი**, რომელთაგან **165 ადგილი გათვალისწინებულია 5 პროფესიული ინტეგრირებული პროგრამის კონტიგენტად.**

რეავტორიზაციის ახალი გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2022 წლის 8 ნოემბერიდან და ძალაშია 2028 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით.

დღეის მდგომარეობით, კოლეჯს მოპოვებული აქვს 8 დუალური, 4 მოდულური და 5 ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება.

კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებია:

დუალური ფორმით:

1. რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია)
2. რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია)
3. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
4. რკინიგზის ელექტრო მოძრაობის შემადგენლობა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
5. სარკინიგზო გადაზიდვები (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
6. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
7. სავაგონო მეურნეობა; (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
8. ლოკომოტივის მართვა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)

მოდულური ფორმით:

1. სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
2. მეჩარხე (საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია)
3. შედუღება (საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია)
4. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია)


ინტეგრირებული ფორმით:

1. რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა;
2. სარკინიგზო გადაზიდვები;
3. რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება;
4. სავაგონო მეურნეობა;
5. სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა.

პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა - 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული სტუდენტის სტატუსი მინიჭებული აქვს და საგანმანათლებლო პროცესში ჩართულია **418 პროფესიული სტუდენტი**, მათ შორის **369 მამაკაცი და 49 ქალი**. აღნიშნული მაჩვენებელი **34 პროფესიული სტუდენტით** აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სქესი (კაცი/ქალი)		პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
		კაცი	ქალი	
1.	რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა	51	4	55
2.	რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი	24	6	30
3.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა	27	0	27
4.	რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა (ინტეგრირებული)	17	0	17
5.	რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა	24	0	24
6.	სარკინიგზო გადაზიდვები	30	5	35
7.	სარკინიგზო გადაზიდვები (ინტეგრირებული)	16	4	20
8.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება	24	5	29
9.	სავაგონო მეურნეობა	36	8	44
10.	ლოკომოტივის მართვა	49	0	49
11.	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა (ინტეგრირებული)	12	2	14
12.	მეჩარხე	15	4	19
13.	შედულება	20	0	20
14.	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	24	11	35
		369	49	
		ჯამი:		418



2022 წლის განმავლობაში **სულ 105-მა პროფესიულმა სტუდენტმა** წარმატებით დაამთავრა არჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მიენიჭა პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია.

დღეის მდგომარეობით კოლეჯის არსებული კურსდამთავრებულთა რაოდენობა სულ შეადგენს: **256 პროფესიულ სტუდენტს.**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით
კურსდამთავრებულთა რაოდენობა
2022 წლის მდგომარეობით**

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კურსდამთავრებულთა რაოდენობა		
		რკინიგზელი	შეგირდი	ჯამი
1	„რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“	14	1	15
2	„რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“	10	1	11
3	„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“	7	4	11
4	„რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“	3	1	4
5	„ლოკომოტივის მართვა“	9	5	14
6	„სავაგონო მეურნეობა“	8	2	10
7	„რკინიგზის ელექტრომომარაგი შემადგენლობა“	0	2	2
8	„სარკინიგზო გადაზიდვები“	10	8	18
9	სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა	0	20	20
სულ ჯამი:		61	44	
		105		

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად კოლეჯს ასევე მოპოვებული ქონდა რვა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება, რომელთაგან პროფესიული მომზადების პროგრამას „**ტექნიკური ნახაზების მხაზველი**“ მქომედების ვადა გაუვიდა 2022 წლის 17 ივლისს, პროფესიული გადამზადების პროგრამას „**მომძრაობის უსაფრთხოება სარკინიგზო ტრანსპორტზე**“ 2022 წლის 23 ოქტომბერს, ხოლო პროფესიული მომზადების პროგრამებს „**საოფისე საქმის წარმოება**“ და „**ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის**“ კოლეჯი აღარ ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 24.10.2022წ. №MES 1 22 0001348123 გადაწყვეტილების საფუძველზე, (გადაწყვეტილების ძალაში შესვლის პერიოდი 2022 წლის 8 ნოემბერი) ვინაიდან კოლეჯის მიერ აღარ იქნა მოპოვებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა აღნიშნული ორი პროფესიული მომზადების პროგრამა.

დღეის მდგომარეობით კოლეჯს მოპოვებული აქვს ოთხ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება:

1. სატრანსპორტო ლოგისტიკის სპეციალისტი (პროფესიული მომზადება);
2. სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე (პროფესიული გადამზადება);
3. „საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“ (პროფესიული მომზადება);
4. „არგონ-რკალური შედუღების სპეციალისტი“ (პროფესიული გადამზადება);

2022 წლის განმავლობაში სულ კოლეჯის 32 მსმენელმა წარმატებით დაამთავრა შერჩეული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამა და გადაეცა პროგრამის სასწავლო კურსით გათვალისწინებული შესაბამისი სერტიფიკატი.

**პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების მიხედვით
კურსდამთავრებულთა რაოდენობა
2022 წლის მდგომარეობით**

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	
		კაცი	ქალი
1	საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი	5	3
2	ტექნიკური ნახაზების მხაზველი	9	3
3	ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის	2	5
4	სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე	5	0
სულ ჯამი:		21	11
		32 მსმენელი	

კოლეჯში დღეის მდგომარეობით დასაქმებულია:

- ადმინისტრაცია: 30 ერთეული;
- აკადემიური პერსონალი: 115 ერთეული.

წარმოგიდგენთ, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ 2022 წლის თვეების მიხედვით განხორციელებული საქმიანობის დეტალურ ანგარიშს

იანვარი	<ul style="list-style-type: none"> ✓ დისტანციური ფორმით, აპლიკაცია ზუმის საშუალებით ჩატარდა, ავტორიზაციის პირველ სტანდარტთან დაკავშირებული მტკიცებულებების განხილვა; ✓ სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაზე გადავიდა 67 პროფესიული სტუდენტი, განხორციელდა მათი სამუშაო და/ან საცხოვრებელი ადგილების მიხედვით გადანაწილება; ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯსა და სამაცივრე მეურნეობების და ლოჯისტიკის ასოციაციას შორის გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი; ✓ კოლეჯის შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა ონლაინ და სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; ✓ განხორციელდა 2019 და 2020 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესის მონიტორინგი, პორტფოლიოების რევიზია; ✓ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების გადახედვა, ვადების გადამოწმება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური ფორმით განახლება; ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (e-vet.emis.ge) არსებული მონაცემები; ✓ განახლებულ იქნა კოლეჯის ვებგვერდი და ფეისბუქ გვერდი.
თებერვალი	<ul style="list-style-type: none"> ✓ ჩატარდა 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის და 2022 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის საჯარო განხილვა. შეხვედრის დროს, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებს, აპლიკანტებს, მშობლებს და ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება, რომ შეთავაზებული გეგმის პროექტთან დაკავშირებით წარმოედგინათ თავიანთი შეხედულებები და გამოეთქვათ მოსაზერებები; ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს მიენიჭა უფლება, რომ განახორციელოს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედულება“, ზღვრული რაოდენობა: 40 პროფესიული სტუდენტი და უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ ზღვრული რაოდენობა: 80 პროფესიულ სტუდენტი;

- ✓ დისტანციურ რეჟიმში ონლაინ კითხვარის პლატფორმა Ms. Docs” გამოყენებით, განხორციელდა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტებისა და კოლეჯის ადმინისტრაციის კმაყოფილების კითხვარის გამოქვეყნება, რომლის საფუძველზეც მიღებული უკუკავშირიდან გამომდინარე, განხორციელდა კვლევის შედეგების ანგარიშის წარმოდგენა და რეკომენდაციების შემუშავება;
- ✓ დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სავაგონო მეურნეობა“ და „რკინიგზის ელექტრო მოძრაობის შემადგენლობა“ კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩატარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილი იქნა რეკომენდაციები, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდათ მოდულების განმახორციელებელ პირებს და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების შემოწმების სამოქმედო გეგმა;
- ✓ დისტანციურ რეჟიმში, აპლიკაცია „Zoom“-ის გამოყენებით ჩატარდა საერთაშორისო ვებინარი თემით: „მასწავლებელთა პროფესიული განვითარება“, რომელსაც დაესწრო კოლეჯის 50-ზე მეტი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- ✓ მოპოვებულ იქნა დაფინანსება პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების მიზნით: „ტექნიკური ნახაზების მხაზველი“ და „საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“;
- ✓ ჩატარდა ფოკუს ჯგუფის შეკრება თემაზე: „ონლაინ სწავლების რეჟიმის დადებითი და უარყოფითი მხარეები“, შედეგად პროფესიულ სტუდენტთა გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე გამოთქმულ იქნა სხვადასხვა რეკომენდაციები;
- ✓ კოლეჯის მიმდინარე რეაგტორიზაციის პროცესიდან გამომდინარე განხორციელდა, ავტორიზაციის მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტებთან დაკავშირებული მტკიცებულებების განხილვა და ავტორიზაციის ვიზიტისთვის მომზადება;
- ✓ კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა მოინახულეს 1921 წელს რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ იუნკერთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი „არ დავიწყება“, პატივი მიაგეს სამშობლოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა ხსოვნას, დაასუფთავეს მიმდებარე ტერიტორია, დარგეს ნერგები და ჩაატარეს გამწვანების ღონისძიება;
- ✓ კოლეჯის შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა ონლაინ და სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

	<ul style="list-style-type: none"> ✓ განხორციელდა 2019 და 2020 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესის მონიტორინგი, პორტფოლიოების რევიზია; ✓ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების გადახედვა, ვადების გადამოწმება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური ფორმით განახლება; ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (e-vet.emis.ge) არსებული მონაცემები; ✓ განახლებულ იქნა კოლეჯის ვებგვერდი და ფეისბუქ გვერდი.
<p style="text-align: center;">მარტი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ დასაქმების პორტალზე „საჯარო სამსახურის ვაკანსიები“ (hr.gov.ge) კოლეჯის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების საფუძველზე, ღია კონკურსის გზით შერჩეულ იქნა კოლეჯის: „საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი“ და „ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი“; ✓ კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა სემინარი თემაზე: „ქალთა უფლებები გენდერული გამოწვევების წინაშე“ რომელსაც უძღვებოდა მოწვეული ფსიქოლოგი. შეხვედრის ფარგლებში სტუდენტებმა იმსჯელეს ძალადობის ფორმებზე, მის გამომწვევ მიზეზებსა და გენდერულ თანასწორობაზე; ✓ ჩატარდა კოლეჯის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების დასაქმებისა და კმაყოფილების კვლევა, რის საფუძველზეც განახლებულ იქნა არსებული მონაცემები და გაცემულ იქნა რეკომენდაციები; ✓ ჩატარდა ფოკუს ჯგუფის შეკრება თემაზე: „რამდენადაა გამართული ინდივიდუალური ადმინისტრაციული მხარდაჭერა პროფესიული სტუდენტისათვის“. შეხვედრის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა გამოკვეთილ საჭიროებებზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება; ✓ განხორციელდა კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ სტატისტიკის განახლება; ✓ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მონიტორინგის შედეგად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სარკინიგზო გადაზიდვები“ პროფესიული 3 სტუდენტი საწარმოო პრაქტიკის ინსტრუქტორის გარდაცვალების გამო გადანაწილებული იქნენ ახალ ინსტრუქტორებთან; ✓ ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“, „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“ და „მეჩარხე“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით

ჩაუტარდათ ვერიფიკაცია. წარმოდგენილი იქნა რეკომენდაციები, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდათ მოდულების განმახორციელებელ პირებს და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა;

- ✓ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, კოლეჯში გაიმართა ლოგისტიკური პროგრამის Software CarLo-ს შემსწავლელი ხუთდღიანი ტრენინგ კურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, პროგრამის ხელმძღვანელებმა, სს საქართველოს რკინიგზისა და ლოგისტიკური კომპანიების წარმომადგენლებმა;
- ✓ პროფესიული მომზადების პროგრამებზე: „ტექნიკური ნახაზების მხაზველი“ და „საწყობის ლოგისტიკის სპეციალისტი“, განხორციელდა მიმდინარე სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი და მსმენელთა მიერ კმაყოფილების კითხვარის შევსების უზრუნველყოფა;
- ✓ სსიპ „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსგან“ მოპოვებულ იქნა დაფინანსება, პროფესიული მომზადების პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის“ ;
- ✓ სს საქართველოს რკინიგზაზე შემდგომი დასაქმების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელების დახასიათების საფუძველზე, ოთხ პროფესიულ სტუდენტზე გაიცა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილი;
- ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებთან ერთად შეუერთდა დაუნის სინდრომის დღესთან დაკავშირებულ აქტივობას;
- ✓ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების რევიზია, ხელშეკრულების ვადების მონიტორინგი და წარმოდგენილი დოკუმენტაციის, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური ფორმით განახლება;
- ✓ კოლეჯის შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა ონლაინ და სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- ✓ განხორციელდა 2019 და 2020 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესის მონიტორინგი, პორტფოლიოების რევიზია;
- ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (e-vet.emis.ge) არსებული მონაცემები;
- ✓ განახლებულ იქნა კოლეჯის ვებგვერდი და ფეისბუქ გვერდი.

<p>აპრილი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ სს საქართველოს რკინიგზაზე დასაქმების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელების დახასიათების საფუძველზე, ორ პროფესიულ სტუდენტზე გაიცა შესაბამისი სარეკომენდაციო წერილი; ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა" 2021 წლის მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელდა, ბიტეკის „BTEC“-ის საერთაშორისო კვალიფიკაციის სასწავლო გეგმის მომზადება, წარსადგენი მტკიცებულებების შეგროვება, გადათარგმნა და გადაგზავნა; ✓ მომზადდა კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების სტატისტიკა დასაქმებისა და გენდერის ჭრილში; ✓ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული გადამზადების სპეციალური კურსების საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით, განხორციელდა თვითშეფასების კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტმა; ✓ ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, „რკინიგზის ელექტრო მოძრაობის შემადგენლობა“ და „სარკინიგზო გადაზიდვები“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩატარდათ ვერიფიკაცია, წარმოდგენილი იქნა რეკომენდაციები, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდათ მოდულების განმახორციელებელ პირებს და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ კოლეჯის მიმდინარე რეავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით, შევსებულ იქნა თვითშეფასების კითხვარი და ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მიხედვით მომზადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მტკიცებულებებთან ერთად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა ავტორიზაციის განაცხადი; ✓ კოლეჯი შეუერთდა დედამიწის დღესთან დაკავშირებულ აქტივობას, რომლის ფარგლებშიც პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით ჩატარდა გამწვანების აქცია; ✓ კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ორგანიზებულ იქნა ერთობლივი ჰუმანიტარული აქცია, რომლის ფარგლებშიც დახმარება გაეწია შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ, მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველ ხუთ ოჯახს; ✓ კოლეჯის შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა ონლაინ და სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
----------------------	--

	<ul style="list-style-type: none"> ✓ განხორციელდა 2019 და 2020 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესის მონიტორინგი, პორტფოლიოების რევიზია; ✓ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების გადახედვა, ვადების გადამოწმება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური ფორმით განახლება; ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (e-vet.emis.ge) არსებული მონაცემები; ✓ განახლებულ იქნა კოლეჯის ვებგვერდი და ფეისბუქ გვერდი.
<p style="text-align: center;">მაისი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ 2019 წლის მიღების ოთხი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „სავაგონო მეურნეობა“, „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“, „რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“ და „სარკინიგზო გადაზიდვები“, ჯამში - 26 პროფესიულ სტუდენტს, ჩაუტარდათ საკვალიფიკაციო გამოცდის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი და მიენიჭათ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია; ✓ 2020 წლის მიღების ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „სავაგონო მეურნეობა“, „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“, „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“, „ლოკომოტივის მართვა და „სარკინიგზო გადაზიდვები“, „რკინიგზის ელექტრო მოძრავი შემადგენლობა“, სულ ჯამში - 45 პროფესიულ სტუდენტს, ჩაუტარდათ საკვალიფიკაციო გამოცდის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი მიენიჭათ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია; ✓ ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“, „ლოკომოტივის მართვა“ და „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია, წარმოდგენილი იქნა რეკომენდაციები, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა სადაც ისინი გაეცნენ პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესს, სტუდენტური და კარიერული მხარდაჭერისა თუ ბიბლიოთეკით სარგებლობის პროცედურებს;

	<ul style="list-style-type: none"> ✓ მარტი - აპრილის პერიოდში ჩატარებული კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით მომზადდა ანგარიში, მოხდა სიტუაციის ანალიზი, გაიცა სხვადასხვა სახის რეკომენდაციები და დაიგეგმა ტრენინგები. აღნიშნული დოკუმენტები მოხსენებითი ბარათით გადაეგზავნა პლატფორმა EFLOW-ს საშუალებით კოლეჯის დირექტორს; ✓ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის მემორიალთან და სოფელ ახატანში კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის დაიგეგმა და განხორციელდა ექსკურსიის ღონისძიება; ✓ „ათასწლეულის გამოწვევა“ კორპორაციის, „გუდავამე-პატარკაციშვილი“-ს ფონდის, „საქართველოს პარლამენტი“-სა და „პროფესიული უნარების სააგენტოს“ მიერ ორგანიზებულ კონკურსში „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო - 2022“ წარდგენილ იქნა განაცხადი ხუთივე ნომინაციაზე; ✓ წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ✓ წლის პროფესიული მომზადება - გადამზადების პროგრამა; ✓ წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი; ✓ წლის პროფესიული განათლების სტუდენტი; ✓ წლის სასწავლო საწარმოს ინსტრუქტორი; ✓ პროფესიულ სტუდენტთა მიმდინარე რეგისტრაციის პროცესიდან გამომდინარე, კოლეჯში სწავლების მსურველი აპლიკანტების მოძიების მიზნით, ჩატარდა ღია კარის დღის აქტივობა, შემუშავდა და დაიბეჭდა საინფორმაციო ფლაერები განახლებული დიზაინით; ✓ განხორციელდა პროფესიული მომზადების პროგრამების: „ტექნიკური ნახაზების მხაზველი“, „სამრეწველო სარკინიგზო ტრანსპორტის ლოკომოტივის მემანქანე“ და „ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება სამშენებლო და მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის“ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდული მონიტორინგი, კმაყოფილების კვლევის კითხვარების შევსება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა; ✓ კოლეჯის შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა ონლაინ და სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; ✓ განხორციელდა 2019 და 2020 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესის მონიტორინგი, პორტფოლიოების რევიზია; ✓ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების გადახედვა, ვადების გადამოწმება და
--	---

	<p>წარმოდგენილი დოკუმენტაციის, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური ფორმით განახლება;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (e-vet.emis.ge) არსებული მონაცემები; ✓ განახლებულ იქნა კოლეჯის ვებგვერდი და ფეისბუქ გვერდი.
<p>ივნისი</p>	<ul style="list-style-type: none"> ✓ კოლეჯი შეუერთდა ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებულ აქტივობას, რომლის ფარგლებშიც კოლეჯში ბავშვების მონაწილეობით ჩატარდა სპეციალური ღონისძიება; ✓ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში „გარბენი უკრაინისთვის“. ღონისძიებაში მონაწილეობასთან ერთად სს საქართველოს რკინიგზის წარმომადგენლებთან ერთად მოეწყო საინფორმაციო კუთხე სადაც ყველა მსურველს ქონდა შესაძლებლობა, რომ გაცნობოდა ინფორმაციას კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების შესახებ; ✓ პროფესიული უნარების სააგენტოს ორგანიზებით, გაეროს განვითარების პროგრამის და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით გამართულ სპეციალურ სამდღიან კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის დირექტორმა; ✓ 2019 წლის შემოდგომის მიღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „რკინიგზის ელექტრო მომარაგების მეურნეობის“ და „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“, ჯამში - 5 პროფესიულ სტუდენტს, ჩაუტარდა საკვალიფიკაციო გამოცდის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი და მიენიჭა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია; ✓ ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სავაგონო მეურნეობა“ და „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია, წარმოდგენილი იქნა რეკომენდაციები, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის გაიმართა ტრენინგი შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, კერძოდ ხანძრის და მასთან გამკლავების მიმართულებით. ტრენინგის ბოლოს მოეწყო საევეაკუაციო გეგმის მარშუტის მიხედვით ევაკუაციის იმიტაცია. ჯამში ტრენინგს ესწრებოდა 45 პირი; ✓ დასრულდა პროფესიული განათლების მასწავლებლების თვითშეფასების გამოკითხვის ანგარიშის მომზადება და შედეგების გაანალიზების შემდგომ გაიცა

	<p>შესაბამისი რეკომენდაციები, დაისახა გაცემული რეკომენდაციების ეტაპობრივი შესრულების რეალური გეგმა;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ პროფესიულ სტუდენტთა მიმდინარე რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ქ. თბილისის # 149-ე და #220-ე საჯარო სკოლებში. ვიზიტის ფარგლებში სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია, კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, არსებული თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და დასაქმების პერსპექტივების შესახებ, დეტალურად გაეცა პასუხი ყველა დასმულ შეკითხვებს, დაურიგდათ საინფორმაციო ფლაერები და ბუკლეტები; ✓ კოლეჯში ჩატარდა ღია კარის დღე, დამსწრე საზოგადოებას მიეცათ შესაძლებლობა დაეთვალიერებინათ კოლეჯში არსებული ინფრასტრუქტურა, მიიღეს ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, დასვეს მათთვის ყველა საინტერესო საკითხთან დაკავშირებით კითხვები, რასთან დაკავშირებითაც უშუალოდ კოლეჯის წარმომადგენლებისა და შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია; ✓ კოლეჯი შეუერთდა ნარკომანიასთან და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ აქტივობას, რომლის ფარგლებშიც კოლეჯში პროფესიული სტუდენტებისთვის გაიმართა შესაბამისი ფილმის ჩვენება; ✓ კოლეჯის შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხორციელდა ონლაინ და სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრება, წინასწარ მომზადებული კითხვარების შევსება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება; ✓ განხორციელდა 2019 და 2020 წლების მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესის მონიტორინგი, პორტფოლიოების რევიზია; ✓ განხორციელდა კოლეჯის ადმინისტრაციისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების გადახედვა, ვადების გადამოწმება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის, როგორც ელექტრონული ასევე მატერიალური ფორმით განახლება; ✓ განახლებულ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა საინფორმაციო ბაზაში (e-vet.emis.ge) არსებული მონაცემები; ✓ განახლებულ იქნა კოლეჯის ვებგვერდი და ფეისბუქ გვერდი.
	<ul style="list-style-type: none"> ✓ ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის რეავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტების მიერ კოლეჯში განხორციელდა ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც შემოწმებულ იქნა კოლეჯის შესაბამისობა ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. პროცესში ჩართული იყო როგორც

<p>ივლისი</p>	<p>ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ისე მოდულების განმახორციელებლები, პროგრამის ხელმძღვანელები და პროფესიული სტუდენტები;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ 2020 წლის მიღების ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის: „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ და „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, ჯამში - 17 პროფესიულ სტუდენტს, ჩაუტარდათ საკვალიფიკაციო გამოცდის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი მიენიჭათ შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია; ✓ ვერიფიკაციის გეგმის შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ და „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“, კონცენტრაციის მოდულებს, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდათ ვერიფიკაცია, წარმოდგენილი იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდათ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელ პირებს და დასახულ იქნა გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული შემოწმების სამოქმედო გეგმა; ✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა" 2021 წლის მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის ბიტეკის „BTEC“-ის საერთაშორისო კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით, განხორციელდა პროფესიული მოდულის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის პრაქტიკული პროექტი“, ვერიფიკაციის დასკვნისა და სხვა მტკიცებულებების შეგროვება, გადათარგმნა და გადაგზავნა; ✓ კოლეჯის მიერ განსახორციელებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, კოლეჯში ჩატარდა ღია კარის დღის აქტივობა. დამსწრე საზოგადოებას მიეცათ შესაძლებლობა, რომ დაეთვალიერებინათ კოლეჯში არსებული ინფრასტრუქტურა, მიიღეს ინფორმაცია მიმდინარე რეგისტრაციაზე გამოცხადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, დასვეს მათთვის ყველა საინტერესო საკითხთან დაკავშირებული შეკითხვები, რომლებზეც უშუალოდ კოლეჯის წარმომადგენლების, პროგრამების ხელმძღვანელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია; ✓ კოლეჯის 114 პროფესიულმა სტუდენტმა წარმატებით ჩააბარეს შუალედური განმავითარებელი გამოცდა და გადავიდნენ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ეტაპზე, სადაც სს საქართველოს რკინიგზის პრაქტიკის ობიექტებზე არსებულ რეალურ სამუშაო გარემოში თეორიულ ცოდნასთან ერთად მიეცემათ შესაძლებლობა, რომ განივითარონ პრაქტიკული უნარები და მიიღონ შესაბამისი ანაზღაურება; ✓ კოლეჯს სამუშაო ვიზიტის ფარგლებში ესტუმრნენ აზიის განვითარების ბანკის (ADB) ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომლებმაც დაათვალიერეს არსებული ინფრასტრუქტურა, გაეცნენ მიმდინარე სასწავლო პროცესს, გაესაუბრნენ
---------------	--

